2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ

2021 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს 13 ამოცანას. სამოქმედო გეგმის თითოეული ამოცანა ჩაშლილია აქტივობებად, გაწერილია თვეების მიხედვით, გეგმაში ჩაშლილია ინფორმაცია პასუხისმგებელი, შემსრულებელი და საქმიანობაში ჩართული პირების, საჭირო რესურსებისა და ინდიკატორების შესახებ. სამოქმედო გეგმის შესრულება წინასწარ დაგეგმილ ვადებშია განსაზღვრული, მისი შესრულება კი დამოკიდებულია როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებზე. წარმოგიდგენთ თითოეული ამოცანის შესრულების მაჩვენებლებს პროცენტებში და არსებობის შემთხვევაში შეუსრულებლობის მიზეზებს.

[1]

ამოცანა	შესრულება პროცენტებში	შეუსრულებელი ამოცანის შესრულების ახალი ვადები	შეუსრულებლობის მიზეზი
1. 1. თეგეტა აკადემიის საქმიანობის მხარდამჭერი სამართლებრივი ბაზის შექმნა და განვითარება	100%	პერმანენტულად ხორციელდება	
1.2. საქმისწარმოების პროცესის მუდმივი განვითარება	100%		
1. 3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება	90%[2]	2022 წლის დასაწყისი	
1. 4. IT მხარდაჭერის სისტემის განვითარება	100%		
1.6. მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება	90%		
2.2. სასწავლო პროცესის მართვა და ადმინისტრირება	80%		კოვიდპანდემია;[3] არაფორმალური განათლება (ელ.ბაზის ხარვეზით მუშაობა)
2.3. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი	80%		
3.1. ჯანმრთელობის, წესრიგისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა	100%		

[1] ცხრილი შეესაბამება თბილისის მისამართზე არსებულ დაწესებულებას
[2] სასწავლო პროცესის ვადების ცვლილების გამო კვლევის ჩატარება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ჩატარებულიყო 2022 წელს
[3] იხ.ქვემოთ

4.1. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა			
5.1. განათლების საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირების უზრუნველყოფა	90%		საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირების უზრუნველყოფის ყველა არსებული შეთავაზება არის განხორციელებული
5.5. კერძო კოლეჯების ასოციაციასთან და პარტნიორ კოლეჯებთან თანამშრომლობა	90%		
6.1. კომპანია თეგეტა რითეილთან თანამშრომლობა	100%		
6.2. ფინანსური მდგრადობა	90%		

2021 წელს დუალურ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმდინარეობდა პრაქტიკული ნაწილის სწავლება კოვიდპანდემიიდან გამომდინარე შექმნილი სიტუაციების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიამ გამოიწვია სწავლების დროებით შეწყვეტა, 2021 წელს არსებულმა სტუდენტებმა წარმატებით დაასრულეს პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“. ამისათვის, შეიქმნა საგამოცდო კომისია, ჩატარდა როგორც შუალედური, ისე საკვალიფიკაციო გამოცდები პარტნიორი კომპანიის ჩართულობით.

ვინაიდან, აღნიშნული ნაკადის მიერ პროგრამის დასრულების თარიღი საკმაოდ დაგვიანდა, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კვლევის ჩატარება ვერ მოხერხდა, აკადემიამ არამიზნობრივად მიიჩნია აღნიშნულის 2021 წელს ჩატარება და პროცესი გადავადდა 2022 წლის დასაწყისისთვის. რაც შეეხება დისტანციური სწავლებისთვის მოდულებს, ვინაიდან ამ დროისთვის სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებაში იყვნენ ჩართულები, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება ვერ განხორციელდებოდა დისტანციურად.

ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობასთან ერთად, აკადემიის შიდა სიტუაციიდან გამომდინარე, შეფერხდა კონკრეტული ამოცანების შესრულება, რაც უკავშირდება ხელმძღვანელი პირების ცვლილებას. აკადემიის დირექტორის მოადგილის შტატი გათავისუფლდა, რასაც მოკლე ვადაში მოჰყვა უშუალოდ დირექტორის ცვლილება. შესაბამისად, შეფერხდა ახალი პროგრამების მომზადება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2021 წელს განხორციელებული მიზნები, სრულად შესრულდა აკადემიის მიერ, რაც აღნიშნულია ცხრილში მოცემული პროცენტული მაჩვენებლებით. სამოქმედო გეგმის შესრულების განხილვისას, დასახელდა შესრულებისა თუ შეუსრულებლობის მიზეზები, განისაზღვრა კონკრეტული გეგმები 2022 წლისთვის.